ეროვნული ბიბლიოთეკა

2ლ

საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“

წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც 2008 წელს შეიქმნა და აერთიანებს 5000 მეტ საქართველოს მოქალაქეს.

საქართველოს ქალთა პარტიის დამფუძნებელი და საპატიო თავჯდომარეა პროფესორი გუგული მაღრაძე, ხოლო ქალთა პარტიის თავმჯდომარეა პროფესორი ხათუნა მაჭავარიანი.

საქართველოს ქალთა პარტიამ მონაწილეობა მიიღო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში და აქტიურად არის ჩართული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

№ 248/1573

დამატებითი ინფორმაციისათვის
და ჩვენთან დასაკავშირებლად,
გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს

www.womenparty.ge

ტელ.: 599908033

საქართველოს ქალთა პარტია
სამართლიანობისა და თანასწორობისათვის

საქართველოს ქალთა პარტია

სამართლიანობისა
და
თანასწორობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალთა პარტია

პარტიის მიზნები და საქმიანობა

საქართველოს ქალთა პარტიის მიზნები და ამოცანებია:

- ერთიანი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.
- სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების განუხრელი დაცვა.
- დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება სახელმწიფო მმართველობაში.

"თუ მეტი ქალი მოვა მართვაში, პოლიტიკური კულტურა შეიცვლება,პოლიტიკური დღის წესრიგი გაფართოვდება და შესაბამისად ინსტიტუტების ტრანსფორმირებაც მოხდება უკეთესობისკენ...."

გუგული მაღრაძე

- საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელისშეწყობა.
- პარტიის წევრთა პოლიტიკური აქტივობისთვის საჭირო განათლების პროგრამების განხორციელება.
- ქალთა პოლიტიკური აქტივობის ხელშემწყობი საკონსულტაციო და რესურს ცენტრების შექმნა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.
- ქალთა პოლიტიკური აქტივობისადმი მიძღვნილი ტრენინგების, სემინარების, დისკუსიების, კონფერენციების და ა.შ. ჩატარება.
- ქალთა პოლიტიკური აქტივობის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების მეცნიერული კვლევა და ამ საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

- ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტრივობის ხელშესაწყობად სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო-მეთოდური და სხვა პრაქტიკული ხასიათის ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა, პერიოდიკის გამოცემა.
- ცენტრალური და რეგიონული მას მედიის დაფუძნება, არსებული მას მედიის ფართო გამოყენება ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად.
- საქართველოში მომქმედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მსგავსი მიმართულების მქონე პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა.
- უცხოეთში არსებული ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და ურთიერთობების განვითარება.
- ეკონომიკურ სფეროში პარტია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების მომხრეა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, როგორც საქართველოსთვის ტრადიციული საქმიანობის სფეროებს.
- საგარეო პოლიტიკაში მშვიდობიანი და ურთიერხელსაყრელი ურთიერთობების დამყარება უახლოეს მეზობლებთან, ტერიტორიალური კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარება, ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სვლა.